



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080119937078719

№ 1563

19 / მარტი / 2019 წ.

შპს „ხუროს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტი;

ტენდერის ნომერი: NAT170003641;

შესყიდვის ობიექტი: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ხუროს“ (ს/ნ: 202886216);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 21 იანვარს წარმოდგენილ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 21 იანვრის №430 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №579), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ხუროს“ (ს/ნ: 202886216) მიერ NAT170003641 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 25 მაისის №36/17 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „ხუროს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე grexviashvili55@gmail.com, 2019 წლის 30 იანვრის №367 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არ აღმოფხვრა მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 25 მაისის №36/17 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი არაერთი ხარვეზი.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 4 აპრილს ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT170003641 ელექტრონული ტენდერი შენობის დასრულების სამუშაოების (CPV45400000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 19 მაისის № 03 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ხურო“ (ს/ნ: 202886216) და იგი მინვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2017 წლის 25 მაისს გაფორმდა № 36/17 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2017 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 402 999,19 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2017 წლის 30 დეკემბერი. ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 19 სექტემბრის შეთანხებით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 1 ოქტომბერი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული №36/17 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, საგარანტიო ვადად განისაზღვრა 3 წელი მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. ამავე პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო, გამოესწორებინა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხარვეზი გამონვეული იქნებოდა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, არასწორი ექსპლოატაციითა და მექანიკურად მიყენებული დაზიანებით.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 2 ნოემბრის აქტით, №36/17 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მინვეულ იქნა დასრულებულად და მიღებულად.

4.6. საქმეში არსებული 2018 წლის 17 მაისის აქტით დგინდება, რომ მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს დაუდგინდა მთელი რიგი ხარვეზებისა.

4.7. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 24 მაისის №3481, 2018 წლის 26 ნოემბრის №8489 და 2018 წლის 27 დეკემბრის №9187 წერილებით მიმწოდებელს ეთხოვა დადგენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.8. საქმეში არსებული ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელის 2019 წლის 16 იანვრის № 127 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, დადგენილი ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ხურო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე აღრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ აღმოფხვრა საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზი. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტს/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ხურო“ (ს/ნ: 202886216) 2018 წლის 21 ივნისს დარეგისტრირდა შავ სიაში SPA170010076, SPA170010021 და SPA170010387 ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებული 2017 წლის 31 აგვისტოს №32070201/03/125, 7 სექტემბრის №32070201/03/132 და 14 სექტემბრის №32070201/03/139 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების. ასევე შპს „ხურო“ (ს/ნ: 202886216) 2016 წლის 5 აპრილს დარეგისტრირდა შავ სიაში SPA150023304 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2015 წლის 9 ოქტომბრის № 10/012 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო (მიმწოდებელი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, შავი სიიდან დროებით იქნა ამოღებული. საბოლოოდ, მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის თარიღი განისაზღვრა 2019 წლის 15 თებერვლიდან 2020 წლის 9 იანვრის ჩათვლით).

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის შავ სიაში მანამდე არსებული რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „ხურო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „ხურო“ (ს/ნ: 202886216) 2019 წლის 20 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე